

მოქალაქეობა და სოციალური კლასი

ავტორი: ტ.პ. მარშალი

მთარგმნელი: მეგი თედორაძე

ნუთუ, მართალია, რომ მოქალაქეობის არსით გაჯერებული და მოქალაქეობის ფორმალურ უფლებებში განსხვავებული საბაზისო თანასწორობა სოციალურ კლასთა შორის არსებულ უთანასწორობასთან თავსებადია? ვვარაუდობ, რომ ჩვენი საზოგადოების აზრით, ეს ორი რამ ჯერ კიდევ თავსებადია და თავად მოქალაქეობა, გარკვეული თვალსაზრისით, იქცა კიდევ სოციალური უთანასწორობის ლეგიტიმურ არქიტექტორად. ნუთუ, ჯერ კიდევ მართალია, რომ საბაზისო თანასწორობა კონკურენტული ბაზრის მეზღუდვის გარეშე შეიძლება შეიქმნას და შენარჩუნდეს? რა თქმა უნდა, არა. [...] თუმცა ისიც ასევე ნათელია, რომ ბაზარი - საზღვრების ფარგლებში - კვლავ ფუნქციონირებს. სწორედ აქ შეიძლება წარმოიქმნას პრინციპთა ის შესაძლო დაპირისპირება, რომელსაც გამოკვლევა სჭირდება. მესამეც, საინტერესოა, რა გავლენას ახდენს აქცენტის გადატანა ვალდებულებებიდან უფლებებზე? არის თუ არა თანამედროვე მოქალაქეობის ეს გარდაუვალი მახასიათებელი მართლაც გარდაუვალი და შეუქცევადი? და ბოლოს, უნდა ვიკითხო, არსებობს თუ არა იმგვარი საზღვრები, რომელთაც ვერ გადალახავს სოციალური თანასწორობისკენ მოდერნული სწრაფვის სურვილი? ვგულისხმობ საზღვრებს არა ეკონომიკური დანახარჯების კუთხით (ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქმე ეკონომისტებისთვის მიმინდია), არამედ იმ საფუძვლების შინაგან საზღვრებს, რომლებიც სწრაფვის სურვილს ასაზრდოებენ. თუმცა ვფიქრობ, რომ ეს სწრაფვა ბოლო საფეხურია მოქალაქეობის ევოლუციისა, რომელიც ორას ორმოცდაათი წლის მანძილზე მუდმივად ვითარდებოდა. შესაბამისად, ჩემს პირველ ამოცანას [ინგლისის] ნიადაგის ქექვით იმ საფუძვლის შექმნა წარმოადგენს, რომლითაც თანამედროვე პრობლემებზე მივიტანთ იერიშს.

მოქალაქეობის ჩამოყალიბება მეცხრამეტე საუკუნის დასასრულამდე

როგორც სოციოლოგი, სამართლიანი იქნება, თუკი მოქალაქეობას სამ ნაწილად დავყოფ. თუმცა, ამ შემთხვევაში, ანალიზი უფრო მეტად ისტორიით იქნება ნაკარნახევი, ვიდრე ლოგიკით. ამ სამ ელემენტს სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური უნდა ვუწოდო. სამოქალაქო ელემენტი ინდივიდუალური თავისუფლებისთვის აუცილებელი უფლებებისგან შედგება: პიროვნების თავისუფლება, სიტყვის, აზრისა და რწმენის თავისუფლება, საკუთრებისა და ხელშეკრულების დადების უფლება და სამართლიანობის უფლება. ეს უკანასკნელი დანარჩენებისგან იმით განსხვავდება, რომ იგი ყველა უფლებას ადამიანთა სამართლებრივი თანასწორობის საფუძველზე იცავს, რაც გვიჩვენებს იმას, რომ სამოქალაქო უფლებებთან პირდაპირ დაკავშირებული ინსტიტუცია სასამართლოა. პოლიტიკურ ელემენტში ძალაუფლების განხორციელების პროცესში იმგვარად მონაწილეობას ვგულისხმობ, როცა სუბიექტი, როგორც პოლიტიკური სხეულის ავტორიტეტის, ისე ამომრჩევლის როლს შეიძლება ასრულებდეს.

სოციალურ ელემენტში კი მცირედენი ეკონომიკური კეთილდღეობისა და დაცულობის მქონე დიდი სპექტრი მოიაზრება, რომელიც სოციალური მემკვიდრეობის გააზრებასა და ცივილიზებულ ცხოვრებას უზრუნველყოფს. ამ უკანასკნელთან ყველაზე მეტად განათლებისა და სოციალური სერვისების ინსტიტუტები არის დაკავშირებული.¹

ადრე მოქალაქეობის ეს სამი ღერი ერთმანეთში იყო გადახლართული, რადგან ინსტიტუციათა ერთიანობის გამო, უფლებები აღრეული იყო. როგორც მეიტლენდმა თქვა, „რაც უფრო უკან ვიხედებით ისტორიაში, მით უფრო რთულდება სახელმწიფოს სხვადასხვა ფუნქციას შორის მკაცრი საზღვრების გავლება; ერთი ინსტიტუცია საკანონმდებლოც არის, აღმასრულებელიცა და სასამართლოც. [...] ყველგან, ანტიკურობიდან მოდერნულობამდე, ვხედავთ, რომ ფილოსოფია დიფერენციაციას ითხოვს.“² მეიტლენდი აქ პოლიტიკური და სამოქალაქო ინსტიტუციებისა და უფლებების აღრევაზე საუბრობს, თუმცა ადამიანის სოციალური უფლებებიც იმავე ერთობის ნაწილი იყო და იმ სტატუსიდან გამომდინარეობდა, რომელიც სამართალსა და მისი მიღების გზებს შეეხებოდა. სწორედ ამ სამართლის დახმარებით ერთვებოდა ადამიანი საზოგადოების ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებში. თუმცა სტატუსი ისეთივე არ იყო, როგორიც თანამედროვე მოქალაქეობაა. ფეოდალურ საზოგადოებაში სტატუსი კლასისა და უთანასწორობის საზომს წარმოადგენდა. ამ პერიოდში არ არსებობდა ერთიანი უფლებებისა და ვალდებულებების კოლექცია, რომელსაც ყველა ადამიანი - დიდგვაროვანი თუ უბრალო, თავისუფალი თუ მონა - დაემორჩილებოდა. ამ მხრივ, არ არსებობდა მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპიც, რომელიც კლასთა შორის არსებულ უთანასწორობას დაუპირისპირდებოდა. მიუხედავად ამისა, შუა საუკუნეების ქალაქებში ჭეშმარიტი და თანასწორი მოქალაქეობის მაგალითებიც შეგვიძლია ვიპოვოთ. თუმცა სპეციფიკური უფლებები და ვალდებულებები მკაცრად, ვიწროდ ადგილობრივი იყო მაშინ, როცა მოქალაქეობა, რომლის ისტორიის მოხაზვაც წარმოადგენს ჩემს მიზანს, არსობრივად, ნაციონალურია.

მოქალაქეობის ევოლუციაში გაერთიანებისა და დანაწევრების ორმხრივი პროცესი მონაწილეობდა. გაერთიანება გეოგრაფიული იყო, დანაწევრება კი - ფუნქციური. ამ კუთხით პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი მეოცე საუკუნიდან იღებს სათავეს, როდესაც დიდი ძალაუფლების მქონე სამეფო კანონი დამტკიცდა, რომელიც ინდივიდების სამოქალაქო უფლებებს არა ადგილობრივი ჩვეულების, არამედ საერთო მიწის კანონის საფუძველზე განსაზღვრავდა და იცავდა. როგორც ინსტიტუცია, სასამართლო ეროვნული, მაგრამ სპეციალიზებული იყო. ამ პროცესთან ერთად განვითარდა პარლამენტიც, რომელმაც საკუთარ თავში სახელმწიფო მმართველობის პოლიტიკური ძალაუფლების თავმოყრა და იურიდიული ფუნქციების მცირე დალექვაც მოახერხა, რაც მანამდე დიდ სამეფო საბჭოს მიეკუთვნებოდა, რომელიც, თავის მხრივ, „გარკვეულ კონსტიტუციური პროტოპლაზმას წარმოადგენდა, საიდანაც, დროთა განმავლობაში, სამეფო კარის, საპარლამენტო პალატებისა და სასამართლო ორგანოების გაერთიანებები შეიქმნა.“³ საბოლოოდ, სოციალური უფლებები, რომლებიც ეფუძნებოდნენ საზოგადოების წევრობას ქალაქსა და გილდიაში, ეკონომიკური ცვლილების გამო ეტაპობრივად ჩამოიშალა მანამ, სანამ ღარიბთა შესახებ კანონის გარდა აღარაფერი

¹ Cf. H. Dalton, *Some Aspects of the Inequality of Incomes in Modern Communities* (London: Routledge, 1920), თავი 3 და 4.

² F. Maitland, *Constitutional History of England* (Cambridge: Cambridge University Press, 1908), გვ 105.

³ A. F. Pollard, *Evolution of Parliament* (London: Longmans, 1920), გვ. 25.

დარჩა, რომელიც, თავის მხრივ, ეროვნული საფუძვლის მქონე სპეციალიზებული ინსტიტუცია იყო, მიუხედავად იმისა, რომ ლოკალურად იმართებოდა.

ამას ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოჰყვა: პირველი, გაიყო ინსტიტუციები, რომლებზეც მოქალაქეობის სამი ელემენტი იყო დაფუძნებული და თითოეულის განცალკევებული გზით, შესაბამისი სიჩქარითა და კონკრეტული პრინციპების მიმართულებით განვითარება გახდა შესაძლებელი. მანამდე, დიდი ხნის მანძილზე ისინი ერთობლივად ვითარდებოდნენ და მხოლოდ ამ საუკუნეში ამოუდგნენ გვერდით ერთმანეთს.

მეორეც, ინსტიტუციები, რომლებიც ეროვნული და სპეციალიზებული იყო, არ შეიძლებოდა მჭიდროდ ყოფილიყო მიკუთვნებული იმ სოციალურ ჯგუფთა ცხოვრებას, რომელთაც ისინი ემსახურებოდა, რადგანაც სოციალური ჯგუფი ლოკალური იყო, ეროვნული, სპეციალიზებული ინსტიტუცია კი - ზოგადი. პარლამენტის სოციალური ცხოვრებიდან მოშორებით ფუნქციონირება, ცალსახად, იმით იყო განპირობებული, რომ ის ძალიან ბევრ ამომრჩეველს ემსახურება; სასამართლოების სოციალური ცხოვრებიდან მოშორება კი შეგვიძლია ავხსნათ კანონების ტექნიკურობითა და პროცესუალობით, რომლის გამოც, ჩვეულებრივი მოქალაქე საკუთარი უფლებების მოპოვებისა და განხორციელებისთვის ლეგალური ექსპერტების ჩართულობას საჭიროებდა. ისევ და ისევ, შუა საუკუნეებში საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის მიღება უფრო მეტად ვალდებულება იყო, ვიდრე უფლება. მამაკაცები, თავიანთი კლასისა და უბნების შესაბამისად, ვალდებულები იყვნენ, ემსახურათ სასამართლოებში. ისინი ეკუთვნოდნენ სასამართლოს, სასამართლო კი - მათ. მამაკაცებს წვდომა ამ ინსტიტუციაზე იმიტომ ჰქონდათ, რომ კანონების ცოდნის გამო, სასამართლოსთვის აუცილებელ ინდივიდებს წარმოადგენდნენ. თუმცა გაერთიანებისა და დანაწევრების ერთობლივი პროცესით, მექანიზმი, რომელმაც მოქალაქეობის უფლებებზე დამოკიდებულ ინსტიტუციებს მისცა ბიძგი, ახლიდან უნდა შექმნილიყო. პოლიტიკური უფლებების შემთხვევაში საქმე ხმის მიცემის უფლებასა და პარლამენტის წევრობის შესაბამის კვალიფიკაციას ეხება. სამოქალაქო უფლებების ნაწილში, პრობლემა მოიცავს სასამართლოს იურისდიქციას, სამართლის პროფესიის პრივილეგიებსა და, ყველაზე მეტად, სამართლებრივი დავისთვის საკმარისი ხარჯების გაღების შესაძლებლობას. სოციალური უფლებების შემთხვევაში კი ცენტრალურ რგოლს ღარიბთა შესახებ კანონი (law of settlement and removal) და მისი სხვადასხვა ფორმა წარმოადგენს. ყველა ეს აპარატი ერთიანდებოდა არა მხოლოდ იმის გადასაწყვეტად, თუ რა უფლებები არსებობდა, არამედ იმის დასადგენადაც, თუ რა დონემდე იყო შესაძლებელი ამ უფლებების გამოყენება პრაქტიკაში.

მოქალაქეობის სამი ელემენტი გზების გაყოფის შემდეგ მალევე ძალიან დამორდა ერთმანეთს. მათი განშორება იმდენად საბოლოო იყო, რომ შესაძლებელია, თითოეული მათგანის ფორმაცია სხვადასხვა საუკუნეს ისტორიული სიზუსტის მცირე შელახვის გარეშეც კი მივაწეროთ: სამოქალაქო უფლებები მეთვრამეტე, პოლიტიკური - მეცხრამეტე, ხოლო სოციალური მეოცე საუკუნეებს უკავშირდება. ეს პერიოდები, რა თქმა უნდა, ზომიერი მოქნილობით უნდა გავიაზროთ და გავითვალისწინოთ, რომ არსებობს დროითი გადაფარვებიც, განსაკუთრებით, ბოლო ორს შორის.

იმისთვის, რომ მეთვრამეტე საუკუნე სამოქალაქო უფლებების ფორმირების პერიოდად მოვიხსენიოთ, ჯერ უკან უნდა გადავინაცვლოთ და მოვიცვათ ჰაბეას კორპუსი,⁴ ტოლერანტობის აქტი⁵ და პრესაში ცენზურის აკრძალვა, ამასთანავე უნდა გადავინაცვლოთ წინაც, რათა არ გამოგვჩრქეს კათოლიკური ემანსიპაცია, გაერთიანებების შესახებ აქტების⁶ გაუქმება და პრესის თავისუფლებისთვის ბრძოლის წარმატებული დასრულება კობეტისა და რიჩარდ კარლილის ხელით. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი უფრო მეტი სიზუსტით, მაგრამ უფრო სიღრმისეულად აღვწეროთ რევოლუციასა და პირველი რეფორმის აქტს⁷ შორის არსებული პერიოდი, რომლის დასრულების შემდეგაც, როდესაც პოლიტიკური უფლებები პირველად გაჩნდა 1832 წელს, სამოქალაქო უფლებები უკვე მოიცავდა საკუთრების უფლებას და პირველად ატარებდა დაახლოებით იმ სახეს, რომელიც დღესაც აქვს. „ადრეული ჰანოვერის ეპოქის⁸ კონკრეტული ნაწარმი კანონის უზენაესობის ჩამოყალიბება იყო,“ წერს ტრეველიანი, „და ეს კანონი, ყველა თავისი ხარვეზით, წარმოადგენდა, სულ მცირე, თავისუფლების კანონს, რომლის მყარ საფუძველზეც დაშენდა ყველა შემდგომი რეფორმა.“⁹ მეთვრამეტე საუკუნის ეს მიღწევა, რომელიც ფრანგული რევოლუციით შეფერხდა და დასრულდა რევოლუციის შემდგომ, დიდწილად სასამართლოების მუშაობის შედეგი იყო, როგორც ყოველდღიური პრაქტიკის მეშვეობით, ასევე ცნობილი საქმეების სერიით, რომელთაგანაც ზოგიერთში დავა პარლამენტის წინააღმდეგ, ინდივიდუალური თავისუფლების დასაცავად მიმდინარეობდა. ამ დრამატულ მოვლენებში ყველაზე მნიშვნელოვან მოქმედი პირს, ვფიქრობ, ჯონ უილკის წარმოადგენდა და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შესაძლოა, ხაზი გავუსვათ მასში წმინდა და ღირსეული თვისებების ნაკლებობას - ისეთებისას, რომლებიც ეროვნულ გმირებში ძალიანაც მოგვწონს - ვერ ვიკამათებთ იმაზე, რომ თავისუფლების განმაპირობებელი ხშირად თავზეხელადებული ადამიანი შეიძლება იყოს.

ეკონომიკის ნაწილში ფუნდამენტურ სამოქალაქო უფლებას შრომის უფლება წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ადამიანს ენიჭება უფლება შერჩეულ საქმიანობას თავისივე არჩევანის შესაბამისად მიყვეს და დასაქმებისთვის მხოლოდ წინასწარი ტექნიკური წვრთნის მოთხოვნა იყოს ლეგიტიმური. ეს უფლება უარყოფილი იყო როგორც კანონმდებლობის, ისე ჩვეულებითი წესების გამო: ერთი მხრივ, ელისაბედის პერიოდის

⁴ ჰაბეას კორპუსი (Habeas Corpus) იყო 1679 წლის აქტი, რომელიც კრძალავდა ადამიანების უკანონო დაკავებას (მთარგმნ. შენიშვნა).

⁵ ტოლერანტობის აქტი (Toleration Act) იყო 1688 წლის კანონი, რომელმაც საჯარო ღვთისმსახურების უფლება დაუშვა იმ პროტესტანტებისთვისაც, რომლებიც ანგლიკანურ ეკლესიას არ მიეკუთვნებოდნენ (მთარგმნ. შენიშვნა).

⁶ აქტები გაერთიანების შესახებ (Combination Acts) იყო 1799-1800 წლების კანონები ბრიტანეთში, რომლებიც კრძალავდა მშრომელთა გაერთიანებებსა და პროფკავშირების ჩამოყალიბებას (მთარგმნ. შენიშვნა).

⁷ პირველი რეფორმის აქტი (First Reform Act) 1832 წელს მიიღეს და ის გულისხმობდა ბევრი დაბისთვის ქალაქის სტატუსის გაუქმებას და ამომრჩეველთა ხმის მიცემის კრიტერიუმების ცვლილებას. ამ აქტმა ასევე ფორმალურად აუკრძალა ქალებს ხმის მიცემა (მთარგმნ. შენიშვნა).

⁸ ჰანოვერის ეპოქა მოიცავს ჯორჯ I-დან დედოფალ ვიქტორიამდე პერიოდს ბრიტანეთში (მთარგმნ. შენიშვნა).

⁹ G. M. Trevelyan, *English Social History* (London: Longmans, 1943), გვ 351.

ოსტატთა სამარლებრივი აქტით¹⁰, რომელიც გარკვეულ საქმიანობებს მხოლოდ კონკრეტული სოციალური კლასებისთვის შემოსაზღვრავდა; მეორე მხრივ კი ადგილობრივი რეგულაციებით, რომელთა მიხედვითაც, ქალაქში მუშაობა მხოლოდ ქალაქის წევრებისთვის იყო ნებადართული და შეგირდობა გამოიყენებოდა როგორც გამორიცხვის და არა როგორც მშრომელთა რიგებში გაერთიანების ინსტრუმენტი. ამ უფლების აღიარება საჭიროებდა ამგვარი დამოკიდებულებების ფუნდამენტურ ფორმალურ გარდაქმნას. ძველი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ადგილობრივი და ჯგუფური მონოპოლიები საჯარო ინტერესს წარმოადგენდნენ, რადგან „ვაჭრობა და მგზავრობა ვერ გადარჩება და ვერც გაფართოვდება კანონისა და მთავრობის გარეშე“¹¹, ჩანაცვლდა ახალი დაშვებით, რომ ამგვარი შეზღუდვები სუბიექტის თავისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული და სახელმწიფოს კეთილდღეობას უპირისპირდებოდა. როგორც სხვა სამოქალაქო უფლებების შემთხვევაში, სასამართლოებმა გადამწყვეტი მნიშვნელობა ითამაშეს ახალი კანონის ხელშეწყობისა და განხორციელების პროცესშიც. საერთო სამართალი საკმარისად მოქნილი იყო იმისთვის, რომ მოსამართლეებს იგი ისე აღესრულებინათ, რომ თითქმის შეუმჩნევლად დაეწყოთ აზროვნებაში ეტაპობრივი ცვლილებების განხორციელება და შედეგად, ის, რაც წარსულში მწვალებლობად ითვლებოდა, ახალ თანამედროვეობაში ერთადერთ ჭეშმარიტებას გაუტოლდა. [...]

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ინდივიდუალური ეკონომიკური თავისუფლების პრინციპი უკვე აქსიომად მიიჩნეოდა. თქვენ შესაძლოა, კარგად იცნობდეთ ვებსის მიერ მოხმობილ პასაჟს სპეციალური კომისიის (select committee) 1811 წლის რეპორტიდან, რომელიც ამტკიცებს, რომ

*ნებისმიერი სახის ჩარევა ვაჭრობის, ან თითოეული ინდივიდის უზენაეს თავისუფლებაში, მოიხმაროს საკუთარი დრო და შრომა იმ გზებითა და პირობებით, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება მის პირად ინტერესებს, იწვევს საზოგადოების კეთილდღეობისა და ბედნიერების უმთავრესი ზოგადი პრინციპების შელახვას.*¹²

ელისაბედის კანონები მალევე გაუქმდა უკვე მომხდარი რევოლუციის დაგვიანებული აღიარების შემდეგ.

სამოქალაქო უფლებების ჩამოყალიბების ისტორია უკვე არსებული სტატუსებისთვის ახალი სახის უფლებების ეტაპობრივი დამატებების მატიაწეა. არსებული სტატუსი მოიცავდა საზოგადოების ყველა ზრდასრულ წარმომადგენელს, ან უფრო ზუსტად, ყველა მამრობითი სქესის წევრს, რამდენადაც ქალთა სტატუსი, ან, სულ მცირე, დაქორწინებულ ქალთა სტატუსი, მნიშვნელოვანწილად სპეციფიკური იყო. სტატუსის დემოკრატიული ან უნივერსალური ხასიათი ბუნებრივად მომდინარეობდა იმ გარემოებიდან, რომ იგი, ფაქტობრივად, თავისუფლების სტატუსს გულისხმობდა, მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისში კი ყველა მამაკაცი თავისუფალი იყო. მონობის სტატუსის გაუქმება, ან მემკვიდრეობით გადაცემული ყმობა, ელისაბედის პერიოდში ჭიანურდებოდა, როგორც ანაქრონიზმი, თუმცა მალევე გაქრა. მონურიდან თავისუფალ შრომაზე

¹⁰ ელისაბედის პერიოდის ოსტატთა სამარლებრივი აქტი (Elizabethan Statute of Artificer) 1562 წლის აქტი, რომელიც მშრომელებს უწესებდა ხელფასის ზედა ზღვარს, მშრომელების გადაადგილებას უზღუდავდა და შესაბამისი წვრთნის გარეშე დასაქმებას (მთარგმნ. შენიშვნა).

¹¹ E.F. Heckscher, *Mercantilism*, vol.1 (London: Allen & Unwin, 1935), გვ. 269-325.

¹² Sidney and Beatrice Webb, *History of Trade Unionism* (London: Longmans, 1920).

ფუნდამენტური გადანაცვლება პროფესორი თაუნის მიერ აღიწერა, როგორც „მაღალი ნიშანსვეტი, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური საზოგადოებისა“ და „საერთო სამართლის საბოლოო ტრიუმფი“¹³ იმ რეგიონებში, რომლებშიც იგი ოთხი საუკუნის მანძილზე არ არსებობდა. შესაბამისად, ინგლისელი გლეხი „იმ საზოგადოების ნაწილია, რომელშიც ერთი კანონი ფორმალურად მაინც არის საერთო ყველასთვის.“ თუ უწინ ამ თავისუფლების მოპოვება წინამორბედებს ქალაქებში გადასვლით შეეძლოთ, ახლა ის ადამიანების (კაცების) უფლებებად გარდაიქმნა. თავისუფლება და მოქალაქეობა ქალაქებში ურთიერთმონაცვლე ტერმინები იყო, მაგრამ როდესაც თავისუფლება უნივერსალური გახდა, მოქალაქეობა ადგილობრივიდან ეროვნულ ინსტიტუტდამდე გაფართოვდა.

პოლიტიკური უფლებების ისტორია სამოქალაქო უფლებებისგან როგორც დროით, ისე ხასიათით განსხვავდება. უკვე ვახსენე, რომ მათი ფორმირების პერიოდი ადრეულ მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყო, როდესაც თავისუფლების სტატუსზე მიბმულმა სამოქალაქო უფლებებმა საკმარისი შინაარსი შეიძინეს და მოქალაქეობის ზოგადი სტატუსის შესახებ საუბარს დაუდეს საფუძველი. პოლიტიკური უფლებები მათი ფორმირების დაწყებიდან მოყოლებული არ ყოფილა არსებული სტატუსის გასაფართოვებლად ახალი უფლებების შექმნის პროცესი, არამედ წარმოადგენდა მოსახლეობის ახალი სეგმენტებისთვის უკვე არსებული უფლებების მინიჭებას. მეთვრამეტე საუკუნეში, დემოკრატიული მოქალაქეობის სტანდარტებით, პოლიტიკური უფლებები დეფექტური იყო არა შინაარსობრივად, არამედ მოსახლეობაზე მათი გადანაწილების თვალსაზრისით. 1832 წლის რეფორმის აქტი დეფექტის აღმოფხვრის წმინდად რაოდენობრივ, თუმცა უშედეგო, მცდელობას წარმოადგენდა. ამ აქტის გამოცემის შემდეგ ამომრჩეველთა რიცხვი კვლავ ზრდასრული მამრობითი პოპულაციის ერთ მეხუთედს შეადგენდა. ხმის მიცემის უფლება ჯერ კვლავ ჯგუფური მონოპოლია იყო, მაგრამ მას პირველი ნაბიჯები უკვე ჰქონდა გადადგმული იმგვარ მონოპოლიად ქცევისკენ, რომელიც მისაღები იქნებოდა მეცხრამეტე საუკუნის კაპიტალიზმის იდეებისთვის, მონოპოლია, რომელიც გარკვეულ დონემდე შესაძლოა, აღვწერთ, როგორც ღია და არა - დახურული. დახურული ჯგუფის მონოპოლიაში არც ერთ ადამიანს, განურჩევლად ძალისხმევისა, არ შეუძლია შეადგინოს, რადგან შედგენა მხოლოდ უკვე არსებული ჯგუფის წევრთა პრივილეგიაა. ეს აღწერილობა კარგად ერგება 1832 წლამდელი ხმის მიცემის უფლების მნიშვნელოვან ნაწილს. შეგვიძლია ისიც მოვნიშნოთ, თუ როდის მიენიჭათ ადამიანებს ხმის მიცემის უფლება მიწის საკუთრებაზე დაყრდნობით. საკუთრების უპირობო უფლება ყოველთვის არ იყო ხელმისაწვდომი, მაშინაც კი თუ ადამიანს საკმარისი ფული ჰქონდა, განსაკუთრებით, იმ პერიოდში, როდესაც ოჯახები მიწებს, როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური არსებობის საფუძვლად აღიქვამდნენ. შესაბამისად, 1832 წლის აქტმა ძველი პატარა ქალაქების გაუქმებითა და დამაკმაყოფილებელი ეკონომიკური ძალის დაქირავებით, მონოპოლია იმ ადამიანთა პოლიტიკური მტკიცებების აღიარებით ჩამოაყალიბა, რომელთაც ეკონომიკურ გასაჭირში წარმატების მიღწევა შეეძლოთ.

ნათელია, რომ თუკი შევთანხმდებით იმაზე, რომ მეცხრამეტე საუკუნეში მოქალაქეობა სამოქალაქო უფლებების ფორმით უნივერსალური იყო, პოლიტიკური პრივილეგია ამ მოქალაქეობის ერთ-ერთ უფლებას არ წარმოადგენდა. იგი პრივილეგირებული ეკონომიკური კლასისთვის იყო განკუთვნილი, რომელთათვისაც საზღვრები თითოეული წარმატებული

¹³ R. H. Tawney, *Agrarian Problem in the Sixteenth Century* (London: Longmans, 1912), 83 43-44.

რეფორმის აქტით ფართოვდებოდა. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ამ პერიოდის მოქალაქეობა არ იყო პოლიტიკური შინაარსისგან დაცლილი. მართალია, იგი არ ანიჭებდა უფლებას, მაგრამ აღიარებდა პოტენციალს. არც ერთი კანონმდებელი მოქალაქე ხმის მიცემისას პირადი სტატუსისგან არ განიძარცვებოდა. მას შეეძლო გამოემუშაებინა, შეენახა და ეყიდა ქონება, ან ექირავებინა სახლი და დამტკბარიყო იმ პოლიტიკური უფლებებით, რომლებიც ამ ეკონომიკურ მიღწევებს უკავშირდებოდა. ამის გაკეთების საშუალებას მას თავისივე სამოქალაქო უფლებები და ელექტორული რეფორმა აძლევდა.

როგორც ვნახავთ, მეცხრამეტე საუკუნის კაპიტალისტური საზოგადოებისთვის ჩვეული იყო, პოლიტიკური უფლებები აღექვა როგორც სამოქალაქო უფლებების მეორეული შედეგი. თანაბრად შესაფერისი იყო ისიც, რომ მეოცე საუკუნეში ამ პოზიციაზე უარი ითქვა და პოლიტიკური უფლებები პირდაპირ და დამოუკიდებლად მიეკუთვნა მოქალაქეობას. არსებითი ცვლილება კანონში 1918 წლის აქტით შევიდა, როდესაც მამაკაცებმა საარჩევნო უფლება მიიღეს, რამაც პოლიტიკური უფლებების საფუძველი ეკონომიკური შინაარსიდან პერსონალური სტატუსისკენ გადაიტანა. მე განზრახ ვამბობ „მამაკაცებს“, რათა ხაზი გავუსვა ამ რეფორმის მნიშვნელობას, მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი რეფორმისგან გამიჯნულად, რომელიც ამავე დროს შემოვიდა და ქალებისთვის ხმის მიცემის უფლების მინიჭებას გულისხმობდა. თუმცა 1918 წლის აქტს პოლიტიკური თანასწორობა მოქალაქეობის ყველა ნაწილში სრულად არ დაუფუძნებია. ეკონომიკური არსის განსხვავებულობაზე დაფუძნებული უთანასწორობის ნარჩენები კვლავ არსებობდა მანამ, სანამ 1948 წელს პლურალური ხმის მიცემა¹⁴ (რომელიც უკვე დუალურ ხმის მიცემამდე იყო შემცირებული) სრულად გაუქმდა.

როდესაც მოქალაქეობის სამ ელემენტს მათი ჩამოყალიბების ცალკეული საუკუნე მიუვჩინე - სამოქალაქო უფლებები მეთვრამეტეს, პოლიტიკური მეცხრამეტეს, სოციალური კი მეოცეს - ვთქვი, რომ ბოლო ორს შორის მნიშვნელოვანი თანაკვეთა არსებობს. გთავაზობთ, სოციალური უფლებების შესახებ საუბრისას სწორედ თანაკვეთის პერიოდით შემოვიფარგლო, ჩემი ისტორიული მიმოხილვა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს დავასრულო და დასკვნები აქედან გამოვიტანო. ხოლო შემდეგ ყურადღებას საკვლევი საგნის მეორე ნაწილს, ჩვენს ამჟამინდელ გამოცდილებებსა და მათ უშუალო წარსულს მივაპყრობ. წარმოდგენის მეორე აქტში კი სცენას სოციალური უფლებები დაიკავენ.

სოციალური უფლებების პირველწყაროს ადგილობრივი და ფუნქციური გაერთიანებების წევრობა წარმოადგენდა. ეს პირველწყარო იკვებებოდა და პროგრესულად ნაცვლდებოდა ღარიბთა შესახებ კანონებითა და სახელფასო სისტემის რეგულაციით, რომელიც ეროვნულ დონეზე იყო მიღებული და ადგილობრივად იმართებოდა. ხელფასის რეგულირების სისტემა მნიშვნელოვნად იშლებოდა მეთვრამეტე საუკუნეში არამხოლოდ იმ ინდუსტრიული ცვლილების გამო, რომელმაც იგი ადმინისტრაციულად შეუძლებლად აქცია, არამედ იმიტომაც, რომ ის სრულ შესაბამისობაში იყო ეკონომიკური სფეროს იგვლივ არსებულ სამოქალაქო უფლებებთან, განსაკუთრებით კი მუშაობის უფლებასთან, რომლის მიხედვითაც შეგეძლო იქ გემუშავა, სადაც

¹⁴ გულისხმობს ერთ არჩევნებზე ერთი ადამიანისთვის რამდენჯერმე ხმის მიცემის უფლებას. მაგალითად, ადამიანებს, ვისაც ჰქონდათ საკუთრება მიწის ან შენობების სახით, შეეძლოთ ხმა მიეცათ იმ საარჩევნო ოლქებში სადაც ცხოვრობდნენ და იმ ოლქებშიც, სადაც საკუთრებას ფლობდნენ (მთარგმნ. შენიშვნა).

მოგინდებოდა და გქონოდა ის ხელობა, რისი სურვილიც გქონდა. ხელფასის რეგულაცია არღვევდა ინდივიდუალისტურ პრინციპს თავისუფალი ხელშეკრულებით დასაქმების შესახებ.

ღარიბთა შესახებ კანონები გარკვეულწილად ორაზროვანი იყო, რამდენადაც ისინი იმ სისტემის უკანასკნელ ნარჩენებს წარმოადგენდა, რომელიც რეალური შემოსავლის რეგულირებას სოციალურ საჭიროებებსა და მოქალაქეობის სტატუსთან მიმართებით ცდილობდა და არა მხოლოდ ადამიანის შრომის საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე. [...] თუმცა 1834 წლის აქტით ღარიბთა შესახებ ახალი კანონი¹⁵ აღარ შეიჭრებოდა სახელფასო სისტემაში და არც თავისუფალი ბაზრის ძალების მოქმედებას შეუშლიდა ხელს. ეს აქტი შვება იყო მხოლოდ იმ ჯგუფისთვის, ვისთვისაც ავად ყოფნის პერიოდში შეუძლებელი ხდებოდა შრომის გაგრძელება და ასევე მათთვის, რომლებიც ტანჯვას დანებდნენ, აღიარეს დამარცხება და შეწყალებას ითხოვდნენ. [...] მინიმალური სოციალური უფლებების ნარჩენები დამორებული იყო მოქალაქეობის სტატუსს. ღარიბთა შესახებ კანონი ღარიბთა მოთხოვნებს ექცეოდა არა როგორც მოქალაქის უფლებების განუყოფელ ნაწილს, არამედ როგორც ამ უფლებების ალტერნატივას - როგორც თხოვნას, რომლის დაკმაყოფილებაც შესაძლებელი მხოლოდ მაშინ იქნებოდა, თუკი მომთხოვნი პირები ჭეშმარიტ მოქალაქეებად ყოფნას შეწყვეტდნენ. ღარიბთათვის სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევის წესის გაუქმება 1918 წლამდე შენარჩუნდა და მისი საბოლოო გაუქმების მნიშვნელობა, შესაძლოა, ბოლომდე აღიარებული და დაფასებული არ იყოს. ღარიბების შემწეობასთან დაკავშირებული სტიგმა გამომდინარეობდა იქიდან, რომ შემწეობის მიმღებებ პირებს მოქალაქეთა საზოგადოებიდან უნდა გადაენაცვლათ განდევნილი გაჭირვებულების განცალკევებულ ჯგუფში.

ღარიბთა შესახებ კანონი არ არის სოციალური უფლებების მოქალაქეობის სტატუსისგან გამიჯვნის ერთადერთი მაგალითი. ადრეული საამქროს აქტები¹⁶ იმავე ტენდენციასზე მიუთითებენ. მიუხედავად იმისა, რომ, სინამდვილეში, ისინი სამუშაო პირობების გაუმჯობესებისკენ მიისწრაფოდნენ და სამუშაო საათების შემცირებას იწვევდნენ, რაც ყველა ინდუსტრიაში დასაქმებულთა ინტერესს წარმოადგენდა, ეს აქტები, ასევე, საგულდაგულოდ არიდებდნენ თავს ამ სახის დაცვის უშუალოდ ზრდასრული მამაკაცისთვის მინიჭებას, მამაკაცისთვის, რომელიც წარმოადგენდა კიდევ მოქალაქის ყველაზე თვალსაჩინო სახე-ხატს. ეს კი ხდებოდა მამაკაცების მოქალაქის სტატუსის პატივისცემის გამო, რომელიც უზრუნველყოფდა სამოქალაქო უფლებებით მინიჭებულ თავისუფალი დასაქმების ფუნქციას. მფარველობა განკუთვნილი იყო მხოლოდ ქალებისა და ბავშვებისთვის და ქალთა უფლებების პიონერებმა მალევე აღმოაჩინეს ამ ნაწილში ნაგულისხმევი შეურაცხყოფა. ქალები დაცულები იყვნენ იმიტომ, რომ არ იყვნენ მოქალაქეები. თუკი მათ უნდოდათ სრული და პასუხისმგებლიანი მოქალაქეობით დამტკბარიყვნენ, უარი უნდა ეთქვათ დაცულობაზე. მეცხრამეტე საუკუნის

¹⁵ ღარიბთა შესახებ ახალი კანონი (1834) წარმოადგენდა ღარიბთა შესახებ თავდაპირველი კანონის (1601) შესწორებას. მან ჩაანაცვლა ძველი კანონი და სრულად გარდაქმნა სისტემა. სხვა ცვლილებებთან ერთად, ღარიბი მოსახლეობისთვის შეიქმნა სპეციალური სახლები, სადაც დატაკი მოსახლეობა ერთად ცხოვრობდა. ამასთან ღარიბ ადამიანს, რომელსაც სურდა მიეღო საკვები, ტანისამოსი და თავშესაფარი, დღის განმავლობაში რამდენიმე საათი უნდა ემუშავა (მთარგმნ. შენიშვნა).

¹⁶ ადრეული საამქროს აქტები (Factory Acts) უკრძალავდა ქარხნებსა და საამქროებში მუშაობას 9 წლამდე ბავშვებს. 9-დან 12 წლამდე ბავშვებისთვის სამუშაო დღე არ უნდა აღმატებოდა 9 საათს, ხოლო 12-17 წლის ბავშვებისთვის - 12 საათს (მთარგმნ. შენიშვნა).

ბოლოს ამგვარი არგუმენტები მოძველდა და საამქროს აქტი სოციალური უფლებების ერთ-ერთ ნიშანსვეტად იქცა.

ბავშვების განათლებას პირდაპირ კავშირი აქვს მოქალაქეობასთან, რადგან მაშინ, როცა სახელმწიფო მათ განათლებას უზრუნველყოფს, მოქალაქეობის მოთხოვნები და ბუნება აუცილებლად აქვს მხედველობაში. ამ გზით, სახელმწიფო ჩამოყალიბების პროცესში მყოფი მოქალაქეების რაოდენობის ზრდას უწყობს ხელს. განათლებაზე უფლება მოქალაქეობის ჭეშმარიტი სოციალური უფლებაა, რადგანაც ბავშვისთვის განათლების მიცემის მიზანს მომავალი ზრდასრული ადამიანის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ფუნდამენტურად, აქ უნდა ვიგულისხმოთ არა ბავშვის სკოლაში წასვლის უფლება, არამედ ზრდასრული მოქალაქის უფლება, იყოს განათლებული. ამ მხრივ არ არსებობს წინააღმდეგობა სამოქალაქო უფლებებთან, რომლებიც ინდივიდუალიზმის ეპოქაშია ინტერპრეტირებული, რადგან სამოქალაქო უფლებები გონიერი და ინტელექტუალური ადამიანებისთვისაა შექმნილი, რომელთაც წერა და კითხვა იციან. შესაბამისად, განათლება სამოქალაქო თავისუფლების აუცილებელი წინაპირობაა.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს დაწყებითი განათლება არამხოლოდ უფასო, არამედ სავალდებულო გახდა. ამავე საუკუნის მსვლელობასთან ერთად კი უფრო და უფრო მეტი ადამიანი აღიარებდა, რომ პოლიტიკურ დემოკრატიას განათლებული ელექტორატი სჭირდებოდა, სამეცნიერო წარმოებას კი განათლებული მშრომელები და ოსტატები. შესაბამისად, საკუთარი თავის გაუმჯობესებისა და ცივილიზების ვალდებულება სოციალურია და არა მხოლოდ პერსონალური, რადგან საზოგადოების სოციალური ჯანმრთელობა სწორედ მისი წევრების ცივილიზებულობაზეა დამოკიდებული. ხოლო ის საზოგადოება, რომელიც იძულების გზით იყენებს ამ ვალდებულებას, იაზრებს, რომ მისი კულტურა ორგანული ერთიანობაა, ხოლო მისი ცივილიზაცია ეროვნული მემკვიდრეობა. შესაბამისად, მეცხრამეტე საუკუნეში საჯარო დაწყებითი განათლების გზა პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი იყო მეოცე საუკუნეში მოქალაქეობის სოციალური უფლებების ახლიდან აღმშენებლობისთვის.

მოქალაქეობის ადრეული გავლენა სოციალურ კლასზე

აქამდე ჩემს მიზანს მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებამდე ინგლისში მოქალაქეობის ჩამოყალიბების მონახაზის გაკეთება წარმოადგენდა. ამ მიზნისთვის მე მოქალაქეობა სამ ელემენტად დავყავი - სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური. ვცადე, მეჩვენებინა, რომ ჯერ სამოქალაქო უფლებები ჩამოყალიბდა და თანამედროვე ფორმა 1832 წელს გამოცემულ პირველ რეფორმის აქტამდე მიიღო. შემდეგი იყო პოლიტიკური უფლებები, რომელთა გაფართოებაც მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსალური პოლიტიკური მოქალაქის ცნება 1918 წლამდე არ იყო აღიარებული. სოციალური უფლებები, მეორე მხრივ, მეთვრამეტე საუკუნესა და ადრეულ მეცხრამეტე საუკუნეს შორის არსებულ პერიოდს მიეკუთვნება. მისი აღორძინება საჯარო დაწყებითი განათლების განვითარებასთან ერთად დაიწყო, თუმცა მეოცე საუკუნემდე მან მოქალაქეობის დანარჩენ ორ ელემენტთან თანასწორობას ვერ მიაღწია.

მე ჯერ კიდევ არაფერი მითქვამს სოციალური კლასის შესახებ და აქვე, უნდა ავხსნა, რომ სოციალური კლასი მეორეხარისხოვანი საგანია ჩემს კვლევაში. დრო არ მაძლევს საშუალებას, სამართლიანად მოვექცე ამდენად მნიშვნელოვან საკითხს. ჩემი პირდაპირი კვლევის საგანი მოქალაქეობაა, ხოლო ჩემს კონკრეტულ ინტერესს მისი სოციალურ კლასთან კავშირი წარმოადგენს. შესაბამისად, სოციალური კლასის ბუნება მხოლოდ იმდენად უნდა განვიხილო, რამდენადაც ეს ჩემი ინტერესის დასაკმაყოფილებლად იქნება საჭირო. მე თხრობა მეცხრამეტე საუკუნეზე შევაჩერე, რადგან ვფიქრობ, რომ მოქალაქეობის გავლენა სოციალურ უთანასწორობაზე ამ პერიოდის შემდეგ ფუნდამენტურად განსხვავდებოდა მანამდე მომხდარი მოვლენებისგან. ეს წინადადება არ არის სადავო, თუმცა, სანაცვლოდ, კვლევას იმსახურებს ამ სხვაობის ზუსტი ბუნების გაგება. შესაბამისად, სანამ საკითხს უფრო ღრმად შევისწავლით, ვეცდები, ზოგადი დასკვნები გავაკეთოთ ორ ადრეულ პერიოდში სოციალურ უთანასწორობაზე მოქალაქეობის გავლენის შესახებ.

მოქალაქეობა წარმოადგენს სტატუსს, რომელსაც საზოგადოების სრულყოფილ წევრებს ანიჭებენ. ყველა, ვინც ამ სტატუსს ფლობს, უფლებებისა და მოვალეობების კუთხით თანასწორია. არ არსებობს არავითარი უნივერსალური პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს იმას, თუ რა შეიძლება იყოს ეს უფლებები და ვალდებულებები, მაგრამ საზოგადოებებმა, რომლებშიც მოქალაქეობა განვითარებად ინსტიტუტს წარმოადგენს, შექმნეს სრულყოფილი მოქალაქეობის სახე-ხატი, რომელთან მიმართებაშიც შესაძლებელი იქნებოდა როგორც მიღწევების გაზომვა, ისე მისკენ სწრაფვა. ამ გზით განვითარების სურვილი უფრო სრულყოფილი თანასწორობისკენ სწრაფვას, ამ სტატუსის გაფართოებასა და იმ ადამიანთა რიცხვის ზრდას გულისხმობს, რომლებიც ამ სტატუსს ფლობენ. მეორე მხრივ, სოციალური კლასი უთანასწორობის სისტემას წარმოადგენს და ისიც, მოქალაქეობის მსგავსად, შესაძლოა, იდეალების, რწმენებისა და ღირებულებების ერთობლიობას დაეფუძნოს. შესაბამისად, გონივრულია, მოველოდეთ, რომ მოქალაქეობის გავლენა სოციალურ კლასზე დაპირისპირებულ პრინციპებს შორის არსებული კონფლიქტის სახეს იღებდეს. თუ მე მართალი ვარ მტკიცებაში, რომ მოქალაქეობა, სულ მცირე, გვიანი მეჩვიდმეტე საუკუნიდან წარმოადგენდა განვითარებად ინსტიტუციას ინგლისში, ნათელი გახდება, რომ მისი აღზევება ემთხვევა კაპიტალიზმის აღმავლობას, რომელიც არა თანასწორობის, არამედ უთანასწორობის სისტემაა. აქვე არის კიდევ ერთი რამ, რაც უნდა ავხსნათ. როგორ იყო შესაძლებელი ამ ორი ურთიერთსაპირისპირო პრინციპის გვერდიგვერდ, ერთსა და იმავე ნიადაგში აღორძინება? როგორ შეეწყვნენ ისინი ერთმანეთს ისე, რომ ამჟამად მაინც მტრების ნაცვლად, მოკავშირეები გახდნენ? ეს შეკითხვა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ნათელია, რომ მეოცე საუკუნეში მოქალაქეობა და კაპიტალისტური კლასის სისტემა ერთმანეთს უპირისპირდებიან.

სწორედ ამ პერიოდში ხდება სოციალური კლასის საგულდაგულო შესწავლა აუცილებელი. მე არ ვეცდები მისი ყველა განსხვავებული ფორმის განხილვას, მაგრამ არსებობს ერთი ვრცელი სხვაობა კლასის ორ განსხვავებულ ტიპს შორის, რაც მნიშვნელოვანია ჩემი მსჯელობისთვის. პირველი ტიპის სოციალური კლასის შემთხვევაში კლასი დაფუძნებულია სტატუსის იერარქიაზე და ერთი კლასის მეორისგან განსხვავებულობა გამოხატულია სამართლებრივი უფლებებისა და იმ ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულებების სახით, რომლებიც კანონების მსგავსად მოქმედებენ. უკიდურეს შემთხვევაში ამგვარი სისტემა საზოგადოებას რამდენიმე განსხვავებული, მემკვიდრეობითი ტიპის ადამიანთა სახეობად ყოფს: პატრიციები,

პლებები, ყმები, მონები და სხვა. ამგვარი კლასი იყო და არის დამოუკიდებელი ინსტიტუცია, რომლის მთლიან სტრუქტურასაც დაგეგმარების ნიშან-თვისებები აქვს იმ თვალსაზრისით, რომ მას გააჩნია შინაარსი და მიზანი, და ის აღქმულია ბუნებრივ წესრიგად. ცივილიზაცია, თავისი განვითარების ყველა საფეხურზე, სწორედ ამ მნიშვნელობისა და ბუნებრივი წესრიგის გამოხატულებას წარმოადგენს, ხოლო განსხვავება სოციალურ ფენებს შორის სულაც არ ნიშნავს სხვაობას ცხოვრების ხარისხს შორის, რადგან არ არსებობს საერთო სტანდარტი, რომლითაც მათ გავზომავდით. ამ სისტემაში ისეთი მნიშვნელოვანი უფლებებიც არ არსებობს, რომელთაც ყველა გაიზიარებდა.¹⁷ ამგვარ სისტემას მოქალაქეობის გავლენა აუცილებლად შეარყევდა და დაანგრევდა კიდეც. უფლებები, რომელთა მეშვეობითაც მოქალაქეობის ზოგადი სტატუსი ჩამოყალიბდა, გამოეყვნენ სოციალური კლასის იერარქიულ სტატუსს და ესენციური შინაარსისგან დაიცალნენ. მოქალაქეობის კონცეპტის შიგნით არსებული თანასწორობა, თუნდაც ის შეზღუდული შინაარსის ყოფილიყო, ძირს უთხრიდა კლასობრივ სისტემას, რომელიც არსით სრულიად უთანასწორო სისტემას წარმოადგენს. ეროვნულმა სამართალმა და საყოველთაო კანონებმა გარდაუვალად უნდა შეასუსტოს და საბოლოოდ დაანგრეოს კლასობრივი სამართალი, ხოლო პირადმა თავისუფლებამ, როგორც უნივერსალურმა პირველწყარომ, უნდა გააქროს ბატონ-ყმობა. არც ერთი დახვეწილი არგუმენტი არ არის საჭირო იმის საჩვენებლად, რომ მოქალაქეობა შეუთავსებელია შუა საუკუნეების ფეოდალიზმთან.

მეორე ტიპის სოციალური კლასი იმდენად თავისთავად ცალკე ინსტიტუცია არ არის, რამდენადაც სხვა ინსტიტუციების მეორეული პროდუქტი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შესაძლოა, კვლავ მივუთითოთ „სოციალურ სტატუსზე“, ამ ტერმინს მკაცრად ტექნიკურ დეფინიციას უფრო ფართო მნიშვნელობით ვიყენებთ. კლასობრივი განსხვავებები საზოგადოების წეს-ჩვეულებებითა და სამართლებრივი კანონებით კი არ არის ჩამოყალიბებული და განმარტებული (როგორც ეს შუა საუკუნეებში იყო), არამედ საკუთრებისა და განათლების ინსტიტუციების, მათი ურთიერთკავშირისა და ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურიდან გამომდინარეობს. კლასობრივი კულტურები მცირდება მინიმუმამდე და ეკონომიკური კეთილდღეობის გაზომვა ცხოვრების დონის ზოგად სტანდარტებთან მიმართებით არა სრულიად დამაკმაყოფილებლად, მაგრამ მაინც შესაძლებელი ხდება. მუშათა კლასებს მემკვიდრეობით, მარტივი კულტურის მეშვეობით კი არ გადაეცემათ განსხვავებული სტატუსი, არამედ მათ ცივილიზაციის იაფფასიან და უვარგის იმიტაციას სთავაზობენ, რომელიც ეროვნულ დონეზე ფუნქციონირებს.

სიმართლეს წარმოადგენს ის, რომ კლასი კვლავ ფუნქციონირებს. მიჩნეულია, რომ სოციალური უთანასწორობა აუცილებელი და მიზანმიმართულია. იგი ძალისხმევას გასაწევად სტიმულს ქმნის და ძალაუფლების განაწილებას აყალიბებს. თუმცა არ არსებობს უთანასწორობის ერთიანი მოდელი, რომელშიც თითოეული სოციალური დონის შესაბამისი ღირებულება წინასწარ იქნებოდა მინიჭებული. შესაბამისად, უთანასწორობა, მიუხედავად მისი აუცილებლობისა, შესაძლოა, უზომოდ გაიზარდოს. როგორც პატრიკ კაჰუნი, არაერთგზის ნახსენებ პასაჟში ამბობს, „სიღარიბის მაღალი პროპორციის გარეშე ვერ იარსებებდნენ მდიდრები, რამდენადაც მდიდრები შრომის ნაშეიერები არიან, ხოლო შრომა მხოლოდ სიღარიბეში ყოფნით წარმოიშობა [...] სიღარიბე, შესაბამისად, საზოგადოების ყველაზე

¹⁷ R. H. Tawney, *Equality* (New York: Harcourt Brace, 1931), გვ. 121-122.

აუცილებელი და შეუცვლელი ინგრედიენტია, რომლის გარეშეც ერები და საზოგადოებები ცივილიზაციის პირობებში ვერ იარსებებდნენ.¹⁸ თუმცა კაჟუნი, სიღარიბის მდგომარეობის დაშვებასთან ერთად, დანაწევრებით საუბრობს „უპოვრობაზე“, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უკიდურეს გაჭირვებაზე. „სიღარიბეში“ ის გულისხმობს იმგვარ მდგომარეობას, როდესაც ადამიანი იძულებულია ეკონომიკური დანაზოგის არარსებობის გამო იმუშავოს მუხლჩაუხრელად იმისთვის, რომ ცხოვრება შეძლოს. „უპოვრობაში“ კი მოიაზრებს ოჯახის იმ მდგომარეობას, როდესაც მას ღირსეული ცხოვრებისთვის საჭირო მინიმუმიც კი არ გააჩნია. უთანასწორობის სისტემამ, რომელმაც სიღარიბის, როგორც მამოძრავებელი ძალის, არსებობა დაუშვა, ნამდვილად განაპირობა გარკვეული დონის უპოვრობა. კაჟუნი და სხვა ჰუმანისტები ნაწილობრივ ამას და ტანჯვის შესამსუბუქებელი გზების პოვნას ცდილობდნენ. თუმცა მათ ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ ზოგადად მთლიანი უთანასწორობის სისტემის სამართლიანობა. ამგვარი სისტემის სამართლიანობის დაცვის მიზნით შეგვიძლია ვიდავოთ იმაზე, რომ სიღარიბე კი საჭიროა, მაგრამ კონკრეტული ოჯახის უკიდურესი უპოვრობა სულაც არ არის აუცილებელი. რაც უფრო მეტად უყურებ სიმდიდრეს, როგორც დამსახურების ნამდვილ დასტურს, უფრო მეტად ხარ მიდრეკილი იმისკენ, რომ სიღარიბე დამარცხების მტკიცებულებად აღიქვას. თუმცა ასეთი მარცხისთვის სასჯელი შესაძლოა უფრო მკაცრია და ჩადენილ დანაშაულთან პროპორციული არ არის. ამ მდგომარეობაში, ბუნებრივია (თუმცა უპასუხისმგებლო), რომ უთანასწორობის უფრო არასასიამოვნო მახასიათებლებს ისე ვუყურებთ, როგორც უბრალოდ უსიამოვნო ფაქტებს - მაგალითად, როგორც ვუყურებდით შავ კვამლს, რომელიც ქარხნებიდან ყველანაირი შემოწმების გარეშე ხრჩოლავდა. იმ დროს, როცა საზოგადოებრივი სინდისი სოციალურ კარგად გაითქვიფება, კლასის შესუსტება, ისევე როგორც კვამლის შესუსტება, სასურველ მიზნად იქცევა ხოლმე იმ დოზით, რამდენადაც იგი თანხვედრაშია სოციალური მანქანის განგრძობით ეფექტიანობასთან.

თუმცა კლასის ამ ფორმით შესუსტება არ წარმოადგენდა მთლიან სისტემაზე შეტევას. ამის საპირისპიროდ, ხშირად საკმაოდ გაცნობიერებულადაც, მის მიზანს წარმოადგენდა კლასობრივი სისტემის გაკეთილშობილება სისტემის ყველაზე გაუმართლებელ შედეგებზე იერიშის მიტანით. სწორედ ამან ასწია სოციალური ნაგებობის ქვედა ბაზისი და იგი ადრინდელთან შედარებით უფრო ჰიგიენურად აქცია. თუმცა, მიუხედავად ამისა, ის მაინც ნაგებობის სარდაფს წარმოადგენდა, ზედა სართულებზე კი არაფერი შეცვლილა. ბენეფიტები, რომელთაც დატაკები იღებდნენ, მოქალაქეობის სტატუსის გაფართოებიდან არ გამომდინარეობდა. იქ, სადაც ბენეფიტები უშუალოდ სახელმწიფოს მიერ იყო მინიჭებული, ეს იმ საშუალებებით ხდებოდა, რომელიც, როგორც ვთქვი, მოქალაქეობის უფლებების ალტერნატივებს გვთავაზობდა და არა მათ ჩამატებებს. მათი მთავარი ნაწილი პირადი ქველმოქმედების იმედად დარჩა. ხოლო ზოგადი შეხედულება მათ მიმართ, ვინც მოწყალეობას აიღებდა ის იყო, რომ ისინი ბენეფიტების მოთხოვნის არავითარ უშუალო უფლებას არ ფლობდნენ.

ამის მიუხედავად მართალია, რომ მოქალაქეობა, თუნდაც ადრეული ფორმებით, თანასწორობის პრინციპს წარმოადგენდა. ამ პერიოდში კი იგი განვითარებადი ინსტიტუტია იყო. იმ მომენტიდან, როდესაც თავისუფლება ყველა მამაკაცმა მოიპოვა და ამ თავისუფლების

¹⁸ Colquhoun, A Treatise on Indigence (London: Hatchhard, 1806).

გამოყენებაც უკვე შესაძლებელი იყო ყველასთვის, ფორმალურად მაინც, მოქალაქეობის კონცეპტი ფართოვდებოდა იმ უფლებათა რაოდენობის გაზრდით, რომელთა გამოყენებაც მოქალაქეებს შეეძლოთ. თუმცა ეს უფლებები არ ეწინააღმდეგებოდნენ კაპიტალისტური საზოგადოების უთანასწორობას. ამის საპირისპიროდ, ისინი აუცილებელნიც კი იყვნენ კონკრეტული სახის უთანასწორობის შენარჩუნებისთვის. ეს იმით აიხსნება, რომ მოქალაქეობის არსი, ამ ეტაპზე, სამოქალაქო უფლებებისგან შედგებოდა, ხოლო სამოქალაქო უფლებები კონკურენტული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი იყო. სამოქალაქო უფლებები, ინდივიდუალური სტატუსიდან გამომდინარე, თითოეულ ადამიანს, როგორც დამოუკიდებელ ერთეულს, ანიჭებდნენ ეკონომიკურ ბრძოლაში ჩართვის ძალაუფლებას და შესაძლებელს ხდიდნენ სუბიექტის სოციალურ დაცვაზე უარის თქმას იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ ინდივიდს საკუთარი თავის დაცვა დამოუკიდებლად შეეძლო. [...] სტატუსი სოციალური სისტემიდან არ გამორიცხულა. განსხვავებული სტატუსები, რომლებიც დაკავშირებული იყო კლასთან, ფუნქციასთან და ოჯახთან, მოქალაქეობის ერთიანი სტატუსით ჩანაცვლდა, რომელიც თანასწორობის იმ საფუძველს უზრუნველყოფდა, რომელზეც უთანასწორობის სტრუქტურის დაშენება გახდა შესაძლებელი.

[...] ეს სტატუსი ცალსახად ეხმარებოდა კაპიტალიზმს და არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისთვის, რადგან ბაზარზე სამოქალაქო უფლებები დომინირებდა, რომლებიც სასურველი საგნებისკენ სწრაფვის სამართლებრივ შესაძლებლობას უზრუნველყოფდნენ, მაგრამ სასურველი საგნების გარანტირების ვალდებულებას არ იღებდნენ. საკუთრების უფლება საკუთრების ქონის უფლება კი არ არის, არამედ მისი მოპოვების მცდელობის უფლებაა და ის მხოლოდ მაშინ იქცევა დაცვის უფლებად, თუ საკუთრების მოპოვებას მოახერხებ. [...] იგივენაირად, სიტყვის თავისუფლებას ნაკლები შინაარსი აქვს თუ განათლების სიმცირის გამო ღირებული სათქმელი არ გაქვს და თუ არ გაქვს იმის გარანტია, რომ ვინმე მოგისმენს საუბრის პროცესში. თუმცა ეს აშკარა უთანასწორობები სამოქალაქო უფლებების დეფექტებით კი არ არის გამოწვეული, არამედ სოციალური უფლებების ნაკლებობით, ხოლო სოციალური უფლებები მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდში საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში იყო. ღარიბთა შესახებ კანონი კაპიტალიზმისთვის საფრთხეს კი არა, თანაშემწეს წარმოადგენდა, რადგან ის ინდუსტრიას შრომითი ხელშეკრულების კონტრაქტის ფარგლებს გარეთ არსებული ყველა სოციალური პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებდა და ახალისებდა შრომით ბაზარზე კონკურენციას. დაწყებითი განათლებაც ეხმარებოდა კაპიტალიზმს, რადგან განათლება მუშის ღირებულებას ზრდიდა. [...] შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეობას მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსაც კი სოციალური უთანასწორობის შემცირების კუთხით ბევრი არაფერი გაუკეთებია, იგი ეხმარებოდა პროგრესს იმ გზისკენ, რომელსაც მეოცე საუკუნის ეგალიტარიანულ პოლიტიკამდე მივყავართ.

მას ასევე ჰქონდა ინტეგრაციის ეფექტი ან, სულ მცირე, მნიშვნელოვან ელემენტს მაინც წარმოადგენდა ინტეგრირების პროცესში. [...] პრეფეოდალური საზოგადოებები ერთმანეთთან დაკავშირებულნი იყვნენ სენტიმენტებით და ნათესაობის, ან საერთო მემკვიდრეობის ფიქციით. მოქალაქეობას კი სხვა ტიპის კავშირი სჭირდება - თავის მიჩნევა ისეთი საზოგადოების უშუალო წევრად, რომელიც დაფუძნებულია ცივილიზაციისადმი ერთგულებაზე და რომელიც საერთო მონაპოვრად ითვლება. ის წარმოადგენს უფლებებით დასაჩუქრებული თავისუფალი ადამიანების ერთგულებას, რომლებსაც საერთო სამართალი იცავთ. მოქალაქეობის

გაფართოება სტიმულირებულია ამ უფლებების მოპოვებისადმი სწრაფვითა და მათი მოპოვების შემდგომი ტკბობით. ამას ჩვენ ყველაზე ნათლად მეთვრამეტე საუკუნეში ვხედავთ, რომელსაც არამხოლოდ თანამედროვე სამოქალაქო უფლებების დაბადება, არამედ თანამედროვე ეროვნული ცნობიერების გაჩენაც უკავშირდება. მოდერნული დემოკრატიის ნაცნობი ინსტრუმენტები მატალი კლასების მიერ იყო მოდელირებული და შემდეგ, ეტაპობრივად გადმოეცა დაბალ კლასებს: ინტელიგენციისთვის არსებულ პოლიტიკურ ჟურნალიზმს მოჰყვა საყოველთაო გაზეთები მათთვის, ვისაც კითხვა შეეძლო, საჯარო შეხვედრები, პროპაგანდის კამპანიები და საჯარო გაერთიანებები კი საჯარო საფუძვლების ხელშეწყობისთვის. რეპრესიული საზომები და გადასახადები უძღურები აღმოჩნდნენ წარღვნის წინააღმდეგ. წარღვნასთან ერთად კი მოვიდა პატრიორული ნაციონალიზმი, რომელიც ამ ურთიერთსაპირისპირო ამოფრქვევების ერთიანობას გამოხატავდა. [...]

მზარდ ეროვნულ ცნობიერებას, საჯარო აზრის გამოღვიძებას, საზოგადოების წევრად ყოფნის პირველ მღელვარებასა და საერთო მემკვიდრეობას არ ჰქონიათ მატერიალური გავლენა კლასის სტრუქტურასა და სოციალურ უთანასწორობაზე იმ უბრალო მიზეზით, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსაც კი მშრომელი ადამიანების უმრავლესობას არ ჰქონდა ეფექტური პოლიტიკური ძალაუფლება. ამ პერიოდისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლება უკვე საკმაოდ გაფართოებული იყო სხვადასხვა ჯგუფებზე, მაგრამ მათ, ვინც ეს უფლება ახლად მიიღეს, ჯერ კიდევ არ იცოდნენ, როგორ უნდა გამოეყენებინათ იგი. მოქალაქეობის პოლიტიკური უფლებები, განსხვავებით სამოქალაქო უფლებებისგან, კაპიტალისტური სისტემისგან მომავალი შესაძლო საფრთხეებით იყო აღსავსე. თუმცა ისინი, ვინც ფრთხილად აფართოვებდნენ პოლიტიკურ უფლებებს სოციალურ შკალაზე, ვერ იაზრებდნენ, რამდენად დიდი იყო ეს საფრთხე. მათ ვერ წარმოედგინათ, რა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიძლება გამოეწვია პოლიტიკური ძალაუფლების მშვიდობიან გამოყენებას ძალადობრივი და სისხლიანი რევოლუციის გარეშეც კი. დაგეგმარებული საზოგადოება და საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო ჯერ კიდევ არ იყვნენ მისული ამ ჰორიზონტამდე. საბაზრო ეკონომიკა და ხელშეკრულების სისტემა საკმაოდ ძლიერები იყვნენ და შეეძლოთ ნებისმიერი იერიშისთვის გაეძლოთ. სინამდვილეში არსებობდა გარკვეული საფუძველი იმის დაშვებისთვის, რომ მუშათა კლასები, მას შემდეგ, რაც ისინი განათლებას მიიღებდნენ, აღიარებდნენ ამ სისტემის საბაზისო პრინციპებს და მხარს დაუჭერდნენ მათ დაცვას და მოქალაქეობის სამოქალაქო უფლებების პროგრესს, რომელიც არსებით საფრთხეს არ უქმნიდა კონკურენტულ კაპიტალიზმს. ამგვარი შეხედულება წახალისებული იყო იმ ფაქტით, რომ პოლიტიკური ძალაუფლების ერთ-ერთი მთავარი მიღწევა გვიან მეცხრამეტე საუკუნეში კოლექტიური ვაჭრობის უფლების აღიარება გახდა. ეს გულისხმობდა იმას, რომ სოციალური პროგრესის მიღწევას ცდილობდნენ სამოქალაქო უფლებების განმტკიცებით და არა სოციალური უფლებების შექმნით, ღია ბაზრის სისტემაში ხელშეკრულების გამოყენებით და არა მინიმალური ხელფასითა და სოციალური უსაფრთხოების გარანტირებით.

[...] მუშებისთვის სამოქალაქო უფლებები მათი სოციალური და ეკონომიკური სტატუსის გაზრდის ინსტრუმენტად იქცა, შესაბამისად, იმ მოთხოვნის ჩამოყალიბებაშიც ითამაშა როლი, რომ მათ, როგორც მოქალაქეებს, კონკრეტული სოციალური უფლებები ეკუთვნოდათ. თუმცა სოციალური უფლებების ჩამოყალიბების სტანდარტული მეთოდი პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელებაში მდგომარეობს, რადგანაც სოციალური უფლებები ცივილიზაციის გარკვეული

სტანდარტის ქონის აბსოლუტურ უფლებაზე მიუთითებენ, რომელიც განპირობებულია მოქალაქეობის ზოგადი ვალდებულებებისგან დაცლით. ამ უფლებების შინაარსი არ ეფუძნება ინდივიდუალური მომთხოვნის ეკონომიკურ ღირებულებას. შესაბამისად, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება ჭეშმარიტად კოლექტიურ ვაჭრობასა და კოლექტიური სამოქალაქო უფლებების გამოყენებას შორის. თუ ამათგან პირველის საშუალებით თავისუფალი ბაზრის ეკონომიკური ძალები წონასწორობის მიღწევას ცდილობენ, კოლექტიური სამოქალაქო უფლებები სოციალური სამართლიანობის ელემენტების საბაზისო მოთხოვნების გამყარებას უწყობს ხელს. შესაბამისად, კოლექტიური ვაჭრობის მიღება არ იყო უბრალოდ სამოქალაქო უფლებების ბუნებრივი გაგრძელება. იგი გამოსატყავდა მნიშვნელოვანი პროცესების გადანაცვლებას მოქალაქეობის პოლიტიკურიდან სამოქალაქო სფეროში. თუმცა გადანაცვლება (*transfer*), შესაძლოა დამაბნეველი ტერმინი იყოს, რამდენადაც მაშინ, როცა ეს მოხდა, მშრომელები ან არ ფლობდნენ, ან ჯერ კიდევ არ იცოდნენ, როგორ უნდა გამოეყენებინათ ხმის მიცემის პოლიტიკური უფლება. ამის შემდეგ მათ მიიღეს ან ისწავლეს ამ უფლების გამოყენება. შესაბამისად, სავაჭრო გაერთიანებამ პოლიტიკური მოქალაქეობის პარალელურად და დამატებით შექმნა ინდუსტრიული მოქალაქეობის მეორეული სისტემა. [...]

სოციალური უფლებები მეოცე საუკუნეში

ის პერიოდი, რომელზეც აქამდე ვლაპარაკობდი მოიცავდა დროის იმ მონაკვეთს, როცა მოქალაქეობის გაფართოებას, რამდენადაც შინაარსობრივი და შთამბეჭდავიც არ უნდა ყოფილიყო იგი, ნაკლები გავლენა ჰქონდა სოციალურ უთანასწორობაზე. სამოქალაქო უფლებები სამართლებრივ ძალაუფლებებს ანიჭებდნენ, რომელთა გამოყენებაც ძირფესვიანად კვცავდა კლასობრივ უარყოფით წინასწარგანწყობებს და ეკონომიკური შესაძლებლობების სიმწირეს. პოლიტიკურმა უფლებებმა ადამიანებს მიანიჭა პოტენციური ძალაუფლება, რომელთა გამოყენებაც გამოცდილებას, ორგანიზებასა და იდეების ცვლილებას ისევე მოითხოვდა, როგორც მმართველობის შესაბამის ფუნქციებს. ყველაფერ ამას დრო დასჭირდა. სოციალური უფლებები მინიმალური იყო და არ იყო ჩაწნული მოქალაქეობის ქსოვილში. კანონმდებლობის საერთო მიზანსა და მოხალისეობრივ ძალისხმევას უნდა შეესუსტებინა სიღარიბის უსიამოვნო ბუნება უთანასწორობის იმ მოდელების მორღვევის გარეშე, რომლის აშკარად არასახარბიელო შედეგსაც სიღარიბე წარმოადგენდა.

ახალი პერიოდი მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს დაიწყო. [...] ფულადი შემოსავლის ზრდამ, რომელიც არათანაბრად იყო განაწილებული სოციალურ კლასებს შორის, შეცვალა ის ეკონომიკური დისტანცია, რომელიც ერთ კლასს სხვებისგან ყოფდა, შეამცირა მანძილი უნარების მქონე და არმქონე სამუშაო ძალას შორის და უნარების მქონე სამუშაო ძალასა და იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ფიზიკურად არ მუშაობდნენ. ეს ყველაფერი იმის პარალელურად ხდებოდა, რომ მცირე დანაზოგების მდგრადმა ზრდამ გადაფარა კაპიტალისტურ და საკუთრების არმქონე პროლეტარიატს შორის კლასთამორისი სხვაობა. მეორეც, უშუალო დაბეგვრის სისტემამ კიდევ უფრო მკეთრად შეკუმშა ხელმისაწვდომი შემოსავლების მთელი წყება. მესამეც, ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებულმა მასობრივმა პროდუქციამ და რიგითი ადამიანების გემოვნებისა და საჭიროებების მიმართ ინდუსტრიის მზარდმა ინტერესმა შესაძლებელი გახადა ნაკლები სიმდიდრის პირობებში ადამიანებს სიამოვნება მიეღოთ მატერიალური ცივილიზაციით და ამჟამად მათი ცხოვრების ხარისხი უკვე ბევრად ნაკლებად

განსხვავდებოდა მდიდართა ცხოვრებისგან, ვიდრე იქამდე. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად შეცვალა ის გარემო, რომელშიც მოქალაქეობა განვითარდა. სოციალური ინტეგრაცია სენტიმენტების სფეროდან და პატრიოტიზმიდან გავრცელდა მატერიალურ სიამოვნებაზე. ცივილიზებული და კულტურული ცხოვრების კომპონენტები, რომლებიც მანამდე მცირეთა მონოპოლია იყო, ეტაპობრივად გახდა ხელმისაწვდომი ყველასთვის. უთანასწორობის შემცირებამ გააძლიერა უთანასწორობის გაუქმების მოთხოვნა, ან, ყოველ შემთხვევაში, სოციალური კეთილდღეობის პირველადი აუცილებლობის სიკეთეების მნიშვნელობა მაინც.

ეს სურვილები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სოციალური უფლებების მოქალაქეობის სტატუსში შემოტანით და, შესაბამისად, შეიქმნა არსებითი შემოსავლის უნივერსალური უფლება, რომელიც უფლების მომთხოვნი პირის საბაზრო ღირებულების პროპორციული არ არის. კლასის შესუსტება ჯერ კიდევ წარმოადგენს სოციალური უფლებების მიზანს, მაგრამ მან ახალი მნიშვნელობები შეიძინა. ის მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების ყველაზე დაბალ ფენებში არსებული უპოვარობიდან გამოწვეული უსიამოვნების შესუსტებას არ ცდილობს. მან იმ ქმედების იერი მიიღო, რომელიც სოციალური უთანასწორობის მთლიან მოდელს გარდაქმნის. სოციალური ნაგებობის ქვედა სართულის აწევა აღარ არის დამაკმაყოფილებელი სუპერსტრუქტურის ხელუხლებლად დატოვებით. მან დაიწყო მთლიანი შენობის გარდაქმნა და შესაძლოა, ცათამბრჯენი ბუნგალოდ აქციოს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ, წარმოადგენს თუ არა მსგავსი განვითარების შინაგან ბუნებას ამგვარი საბოლოო მიზანი. ან, როგორც დასაწყისში ვახსენე, აქვს თუ არა დიდი სოციალური და ეკონომიკური თანასწორობისკენ სწრაფვას ბუნებრივი საზღვრები. [...]

ყველაზე ნაცნობი გამოყენებადი პრინციპი საარსებო მინიმუმია. სახელმწიფო საარსებოდ საჭირო პროდუქტებისა და სერვისების მინიმალურ მიწოდებას (როგორებიცაა სამედიცინო ზრუნვა და მარაგები, თავშესაფარი და განათლება) ან მინიმალურ შემოსავალს უზრუნველყოფს, რომელიც აუცილებელ პროდუქტებზე შეიძლება დაიხარჯოს - როგორც ადრე პენსიების, სადაზღვეო ბენეფიტებისა და საოჯახო შეღავათების შემთხვევაში ხდებოდა. ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც საკუთარი რესურსებით შეუძლია ჰქონდეს გარანტირებულ მინიმუმზე მეტი შემოსავალი, თავისუფალია, მოიქცეს კიდევ ასე. ამგვარი სისტემა კლასის შესუსტების თავდაპირველ, მაგრამ უფრო მეტად გულუხვ ფორმას ჰგავს (სადაც ადამიანებს აძლევენ უფლებას, სურვილისა და რესურსების შემთხვევაში ბევრად მეტი დააგროვონ). იგი ქვედა სართულის დონეს მაღლა წევს, მაგრამ ავტომატურად არ ათანასწორებს სუპერსტრუქტურას. [...] ერთი და იგივე რაოდენობის ბენეფიტები არ ამცირებენ ნაპრაღს სხვადასხვა რაოდენობის შემოსავალს შორის. მათი გათანასწორობის ეფექტი იმ ფაქტზეა დამოკიდებული, რომ ისინი უფრო დიდი პროცენტულობის დანამატს პატარა შემოსავლისთვის ქმნიან და არა - დიდისთვის. როდესაც უფასო სერვისი, მაგალითად, ჯანდაცვა, შემოსავლის მეზღუდული ჯგუფებიდან მთლიან პოპულაციაზე ვრცელდება, პირდაპირი ეფექტი სახარჯ შემოსავლებს შორის უთანასწორობის გაზრდა შეიძლება იყოს, რაც შესაძლოა, შესაბამისი გადასახადებით დაბალანსდეს. საშუალო კლასის წარმომადგენლები, რომლებიც მანამდე სამედიცინო დახმარების ღირებულებას იხდიდნენ, ხედავენ, თუ როგორ შეიძლება დაიხარჯოს მათი შემოსავალი სხვა რამეებზე (წმინდად ეკონომიკური გადასახედიდან, როდესაც ეს სქემა ყველა ადამიანზე ვრცელდება, ის ნაკლებად ამცირებს კლასებს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ის მხოლოდ კონკრეტულ ჯგუფს მიემართება).

[...] სოციალური სერვისების გაფართოვება პირდაპირ შემოსავლის გათანაბრებას როდი იწვევს. [...] ზოგიერთ შემთხვევაში ნამდვილად ხდება ასე, სხვებში კი - არა. თუმცა მნიშვნელოვანია ის, რომ სოციალური სერვისების გაზრდას მოჰყვება ცივილიზებული ცხოვრების შინაარსის ზოგადი გამრავალფეროვნება, რისკისა და დაუცველობის შემცირება და ცხოვრების ყველა დონეზე უიღბლოებისა და იღბლიანების გათანასწოლება: ჯანმრთელობისა და დაავადებულობის, დასაქმებულობისა და დაუსაქმებლობის, მოხუცებისა და ახალგაზრდების, მარტოსულებისა და დიდი ოჯახის მამების. ეს გათანასწოლება კლასთა შორის გათანაბრებაზე მეტად, პოპულაციაში მყოფ ინდივიდთა თანასწორობას ნიშნავს, რაც, ჩვენი მიზნებისთვის, შეგვიძლია, კლასადაც აღვიქვათ. სტატუსის თანასწორობა შემოსავლებს შორის თანასწორობაზე ბევრად მნიშვნელოვანია. [...]

საყოველთაო ჯანდაცვის მიერ შემოთავაზებული საერთო გამოცდილება მოიცავს ყველას, გარდა მწვერვალზე მყოფი მაღალი კლასის უკიდურესი უმცირესობისა და გადაფარავს მნიშვნელოვან კლასობრივ ბარიერებს საშუალო დონეზე. ამავდროულად, გარანტირებული საარსებო მინიმუმ იმდენად იზრდება, რომ უკვე არასწორია ტერმინი *მინიმუმი* გამოვიყენოთ. მიზანი ისაა, რომ მინიმუმი გონივრულ მაქსიმუმს იმდენად მიუახლოვდეს, რომ მცირე გამონაკლისების გარდა მდიდრებისთვის ხელმისაწვდომი პროდუქტები ფუფუნების საგნებად აღარ წარმოიჩნდეს. სოციალური კეთილდღეობის ნორმა ხდება მიწოდებული და არა შეძენილი სერვისი. [...]

სერვისების ფორმით მიღებული სარგებელი იმითაც ხასიათდება, რომ მოქალაქის უფლებები არ შეიძლება ბოლომდე განისაზღვროს. თვისებრივი ელემენტი ზედმეტად დიდია. სამართლებრივად განხორციელებული უფლებების მცირე რაოდენობა შესაძლოა, გარანტირებული იყოს, მაგრამ ის, რაც მოქალაქისთვის მნიშვნელოვანია, სამართლებრივი მოლოდინების სუპერსტრუქტურაა. საკმაოდ მარტივია ყველა მცირეწლოვან ბავშვს სკოლაში გარკვეული რაოდენობის საათები გამოუყო, მაგრამ ბევრად რთულია, დააკმაყოფილო ლეგიტიმური მოლოდინი, რომ განათლება საშუალო ზომის კლასებში, კვალიფიციური მასწავლებლების მიერ იქნება მიწოდებული. [...] პროგრესის მოცულობა სახელმწიფო რესურსების რაოდენობასა და კუნკურენტულ მოთხოვნებს შორის მათ განაწილებაზეა დამოკიდებული. სახელმწიფოს არ შეუძლია მარტივად განჭვრიტოს, თუ რა დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, რამდენადაც როდესაც მოსალოდნელი სერვისის სტანდარტი იზრდება - რაც გარდაუვალია განვითარებად საზოგადოებაში - ვალდებულებები უფრო და უფრო მძიმდება. სამიზნე მუდმივად წინ მიიწევს, ხოლო სახელმწიფომ შესაძლოა, ვერასდროს მოახერხოს მასთან მიახლოება. ამას ემატება ისიც, რომ ინდივიდუალური უფლებები ეროვნულ გეგმებთან უნდა იყოს თანხვედრაში. [...]

მე ვერანაირ ნიშანს ვერ ვხედავ შესუსტდეს ის კავშირები, რომლებიც განათლებასა და დასაქმებას შორის არსებობს. პირიქით, ეს კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდება. ბევრად დიდი და მზარდი ყურადღება ექცევა სერთიფიკატებს, უმაღლეს განათლებას, ხარისხსა და დიპლომს, როგორც დასაქმებისთვის საჭირო კვალიფიკაციებს, მათ კი ვადა დროსთან ერთად არ გასდის. დღეს ორმოცი წლის ადამიანი შეიძლება განვსაჯოთ მისი ქულით იმ გამოცდაში, რომელიც თხუთმეტი წლისამ ჩააბარა. სკოლის ან უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მოპოვებული ბილეთი კი მთელი ცხოვრებისთვის გვჭირდება. მესამე კლასის ბილეთის მქონე ადამიანს,

რომელსაც პირველი კლასის ეტლში მოხვედრის სურვილი აქვს, მაშინაც კი არ მიიღებენ, თუკი იგი სრული თანხის გადასახდელად იქნება მზად. [...] მოქალაქის სელექციისა და მობილობის უფლება თანასწორი შესაძლებლობების უფლებაა, რომლის მიზანსაც მემკვიდრული პრივილეგიის გაქრობა წარმოადგენს. თავისი არსით, განსხვავებების ან უთანასწორობების განვითარება და გამოხატვა თანასწორი უფლებაა - თანასწორი უფლება, აღქმული იყო უთანასწოროდ. ამგვარი სისტემის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპებზე მთავარი გავლენა, რა თქმა უნდა, ფარული უთანასწორობების გამოამჟღავნებს აქვს - მნიშვნელოვანია, ღარიბ ბიჭს აჩვენო, რომ იგი ისეთივე კარგია, რამდენადაც სხვა, მდიდარი ბიჭი. თუმცა ამ ყველაფრის საბოლოო შედეგი უთანასწორო სტატუსის სტრუქტურაა, რომელიც უთანასწორო შესაძლებლობებს უკავშირდება. [...]

ჩემი არგუმენტის მნიშვნელოვანი დასკვნა ისაა, რომ განათლებისა და დასაქმების სტრუქტურის კავშირიდან გამომდინარე, მოქალაქეობა სოციალური სტრატეგიკაციის ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამ პროცესს განმარტება არ სჭირდება, მაგრამ მისი შედეგები კარგად უნდა გვესმოდეს. განათლებით მოპოვებული სტატუსი სამყაროში ლეგიტიმურობის ბეჭდითაა დასმული, რადგანაც იგი იმ ინსტიტუციის მიერაა მინიჭებული, რომელიც მოქალაქეებისთვის სამართლიანი უფლებების მიწოდებას უზრუნველყოფს. ის, რასაც ბაზარი სტატუსთან დაკავშირებული მოთხოვნების საპირისპიროდ გვთავაზობს, შეგვიძლია იმ მოთხოვნებთან მიმართებაში გავზომოთ, რასაც სტატუსი იჩემებს. ამ ორს შორის დიდი შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში კი ამის აღმოფხვრის მცდელობები ეკონომიკურ ღირებულებაზე ვაჭრობის ნაცვლად სოციალური უფლებების შესახებ კამათის ფორმას მიიღებენ. [...]

ზემოთ ვახსენე, რომ მეოცე საუკუნეში მოქალაქეობა და კლასის კაპიტალისტური სისტემა ერთმანეთს უპირისპირდებოდა. ეს ფრაზა ალბათ ძალიან მძაფრად ჟღერს, მაგრამ ნათელია, რომ პირველმა მეორის მოდიფიკაცია მოახდინა. [...] მოდერნული ფორმით არსებული სოციალური უფლებები სტატუსის კონტრაქტის ხელყოფას, საბაზრო ფასის სოციალურ სამართლიანობაზე დამორჩილებას, თავისუფალი ვაჭრობის უფლებების დეკლარაციით ჩანაცვლებას გულისხმობს. [...]

შეჯამება

მე ვცადე, მეჩვენებინა, თუ როგორ შეცვალა მოქალაქეობამ და მის გარეთ არსებულმა სხვა გარეგანმა ფაქტორებმა სოციალური უთანასწორობის მოდელები. ახლა კი, სურათის დასასრულებლად, სოციალური კლასის სტრუქტურის შესახებ არსებული შედეგები უნდა შევაჯამო. ეს შედეგები უდავოდ მნიშვნელოვანია, რადგან უთანასწორობა, ნებადართული და მეტიც - ჩამოყალიბებული მოქალაქეობის საშუალებით, რომელიც კლასთა შორის ურთიერთობებს ისე ვეღარ აყალიბებს, როგორც ეს ადრინდელ საზოგადოებებში იყო. [...]

ყურადღება სამი ფაქტორის საერთო ეფექტებზე უნდა გავამახვილოთ. პირველი, ეს არის შემოსავლების გადანაწილების ორივე ბოლოს ერთმანეთთან დაახლოება. მეორე, საერთო კულტურისა და საერთო გამოცდილების სივრცის მნიშვნელოვანი გაფართოვება და მესამე, მოქალაქეობის უნივერსალური სტატუსის გამრავალფეროვნება, რომელსაც თან უნდა

ერთვოდეს ზოგიერთ სტატუსს შორის სხვაობის აღიარება და სტაბილიზაცია, უმთავრესად, განათლებისა და საქმიანობის კავშირის გზით. მესამე შესაძლებელი გახდა პირველმა ორმა ფაქტორმა. დემოკრატიული მოქალაქეობის პირობებში სტატუსებს შორის სხვაობამ შეიძლება ლეგიტიმურობის ბეჭედი მიიღოს, თუ სტატუსები იმდენად სიღმისეული აღარაა, მხოლოდ ერთი ცივილიზაციის პოპულაციას შორის მიმდინარეობს და არ გამოხატავს მემკვიდრულ პრივილეგიას. ეს ნიშნავს იმას, რომ უთანასწორობები ფუნდამენტურად ეგალიტარიანულ საზოგადოებაშიც შეგვიძლია დავუშვათ, თუ ისინი არ ქმნიან უკმაყოფილებისა და „ამგვარი ცხოვრება არ არის ჩემთვის საკმარისად კარგი“ სახის მოტივებს. [...]